



მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი  
შეფასების ანგარიში

საჩივარი ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (ბთჯ) ნავთობსადენის პროექტის თაობაზე  
ვალე, საქართველო

[საქართველო / ბთჯ ნავთობსადენი - 30/ვალე]

2010 წლის ივნისი

მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი  
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია  
მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყება

## სარჩევი

1. შესავალი .....	1
2. შეფასების შინაარსი და მიზანი .....	1
3. პროექტი .....	2
4. საჩივარი .....	3
4.1 შეფასების მსვლელობაში წამოჭრილი დამატებითი საკითხები .....	4
4.2 კომპანიის თვალსაზრისი .....	4
5. ომბუდსმენის მიერ საჩივრის განხილვის პროცესი .....	5
6. საჩივრის დახურვა .....	6

## 1. შესავალი

მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO) წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყების (MIGA) დამოუკიდებელ დამხმარე მექანიზმს. მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO) უშუალოდ ანგარიშმგებელია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის მიმართ. ოფისის მოვალეობაა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყების (MIGA) პროექტების განხორციელების მსვლელობაში დაზარალებული ინდივიდებისა და დასახლებული ადგილების საჩივრების სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული გზით განხილვა, და აღნიშნული პროექტების შედეგებით დაზიანებული სოციალური და ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება.

მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება, რომ საჩივარი აკმაყოფილებს კრიტერიუმებს CAO-ს ჩარევისათვის, CAO-ს ომბუდსმენი ჩაატარებს სიტუაციის შეფასებას, რათა გაარკვიოს და ნათელი გახადოს აღძრული პრობლემები, დახმარება გაუწიოს მხარეებს შორის ურთიერთობას მათი ინტერესებისა და შეხედულებების თაობაზე, და დაეხმაროს მათ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობების გამოვლენაში. შეფასების მიზანს არ წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვება ბრალის განსაზღვრისათვის, ანდა საჩივრის სარგებლობის შესახებ მსჯელობისათვის.

იმისათვის, რომ საჩივარის თაობაზე CAO-ს შეფასების განხორციელების კრიტერიუმები დაკმაყოფილდეს, საჩივარში მითითებული უნდა იყოს, რომ:

- ეს საჩივარი ეხება პროექტს, რომლის მონაწილეებიც არიან, ან რომლის განხორციელებასაც აპირებენ, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყება (MIGA).
- ამ საჩივარში აღძრული პრობლემები ეხება CAO-ს მოვალეობას განიხილოს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო უწყების (MIGA) ინვესტიციების სოციალურ და ბუნებრივი გარემოზე ზემოქმედება.
- მომჩივანმა შესაძლებელია განიცადოს საჩივარში აღძრული სოციალურ და/ან გარემოზე ზემოქმედების გავლენა.

## 2. შეფასების შინაარსი და მიზანი

წინამდებარე შეფასება გაკეთებულია 2007 წლის 20 აგვისტოს შემოტანილი საჩივრის თაობაზე, რომელიც ხელმოწერილი იყო ვალეს ხუთი მცხოვრების მიერ; საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ბოჯ-ის კომპანია არ ასრულებდა მის მიერ მიწის ნაკვეთების

აღდგენისა და კომპენსაციის შესახებ ადრე მიცემულ დაპირებებს. საჩივარში მითითებული იყო აგრეთვე, რომ ბთჯ-მ ვერ დანერგა მონიტორინგის პროგრამა მიწის ნაკვეთების დაზარალებული მესაკუთრეების მიმართ, რათა შეეფასებინა მიწის ნაყოფიერების ხარისხი ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ.

ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (ბთჯ) მთავარი საექსპორტო მილსადენის პროექტი შეიცავს ნედლი ნავთობის მილსადენის სისტემის განვითარებას, დაფინანსებას და ექსპლუატაციას ნავთობის ტრანსპორტირების მიზნით ბაქოს (აზერბაიჯანი) მახლობლად მდებარე სანგაჩალის ნავთობის ტერმინალიდან, საქართველოს გავლით, ჯეიხანის (თურქეთი) საექსპორტო ტერმინალში, ხმელთაშუა ზღვაზე. 1760 კილომეტრიანი მილსადენი ჩადებულია მიწაში გზის მთელ მანძილზე, გადის აზერბაიჯანზე (442 კმ), საქართველოზე (248 კმ), და თურქეთზე (1070 კმ). მილსადენით ხდება დღეში ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება კასპიის ზღვის ჭაბურღილებიდან, რომლებიც ცნობილია, როგორც აზერის, ჩირადის, გუნაშლის წყალქვეშა საბადოები.

პროექტის ოპერირებას ახორციელებს ბთჯ კომპანია, რომელიც წარმოადგენს 11 პარტნიორის კონსორციუმს. ამ საჩივარის მიღების მომენტისათვის CAO-ს მიღებული ჰქონდა სულ 33 საჩივარი ბთჯ პროექტის თაობაზე, რომლებიც შემოსული იყო როგორც ინდივიდებისაგან, ასევე დასახლებული პუნქტების / ქალაქების და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან.

წინამდებარე შეფასების მიზანია ამ შეფასების მსვლელობაში შეგროვებული ფაქტებისა და ინფორმაციის აღწერა, შეფასების შედეგების და მხარეების მიერ პრობლემების გადაწყვეტის მისაღწევად შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის ანგარიშის მომზადება.

### 3. პროექტი

ბაქო-თბილისი-ჯეიხანის (ბთჯ) ნავთობისა და გაზის მილსადენი წარმოადგენს 1768 კმ სიგრძის ნედლი ნავთობის მილსადენს, რომელიც გადაჭიმულია კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. ის არის სიგრძით მეორე ნავთობის მილსადენი მსოფლიოში, რომელიც გაივლის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. პროექტი შეიცავს 11 პარტნიორისაგან შემდგარ კონსორციუმს, რომელიც დაარსდა 2002 წლის აგვისტოში. „ბრიტიშ პეტროლეუმი“ (BP), პროექტის ყველაზე დიდი წილის მფლობელია (30,1%), ახორციელებს მილსადენის ექსპლუატაციას. სხვა პარტნიორები (წილის შემცირების შესაბამისად) არიან: „სოქარი“ (SOCAR - აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია) (25%), „იუნოკალი“ (Unical) (8,9%), „სტატოილი“ (Statoil) (8,7%), TPAO - თურქეთის ნავთობის კორპორაცია (6,5%), „ენი“ (Eni) (5%), „თოთალ-ფინა ელფი“ (TotalFinaElf) (5%), „ითოჩუ“ (ITOCHU) (3,4%), „ინპექსი“ (INPEX) (2,5%), „კონოკო ფილიფსი“ (ConocoPhillips) (2,5%), და „ამერადა ჰესი“ (Amerada Hess) (2,3%).

როგორც მილსადენის ოპერატორი, ბრიტიშ პეტროლეუმი (BP) წამყვან როლს ასრულებს პროექტის შექმნასა და მშენებლობაში. პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 3,6 მილიარდი ამერიკული დოლარია.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) გროს ინვესტირება ამ პროექტში 250 მილიონი ამერიკული დოლარია, აქედან \$125 მილიონი კორპორაციის საკუთარი ანგარიშიდან მოდის (მას A სესხს უწოდებენ), ხოლო დანარჩენი \$125 მილიონი - სინდიკატების სესხია (B სესხის პროგრამის სახელწოდებით).

მილსადენის საქართველოზე გამავალი სექცია იწყება გარდაბანში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, და გადის ქვეყნის შვიდ რეგიონზე, სამხრეთის სამცხე-ჯავახეთის რაიონის ჩათვლით, სადაც მდებარეობს ქალაქი ვალე.

დღემდე CAO-ს მიღებული აქვს 32 საჩივარი ბთჯ-ს პროექტის თაობაზე, როგორც ინდივიდებისაგან, ასევე ქალაქებისაგან და ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან. საჩივრების უმეტესობა შემოსულია საქართველოდან; წინამდებარე საჩივარი ვალედან შემოსული მეოთხე საჩივარია, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე პროექტის ზეგავლენის თაობაზე.

#### 4. საჩივარი

2007 წლის აგვისტოში CAO-ც მიიღო საჩივარი, რომელიც ხელმოწერილი იყო ვალეს ხუთი მცხოვრების მიერ; საჩივარში აღნიშნული იყო, რომ ბთჯ-ის კომპანიამ არ შეასრულა პირობები, რომლებიც ჩამოთვლილია მის „მიწის შექმნისა და კომპენსაციების ხელმძღვანელობაში“. კერძოდ, საჩივარში აღნიშნულია, რომ პროექტის განხორციელებამდე ბთჯ-მ პირობა მისცა მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, მიწის ნაკვეთებს მესაკუთრეებს დაუბრუნებდნენ სრული სარგებლობის და დამუშავება-კულტივირების უფლებებით. ამავე დროს, ბთჯ-ს უნდა შეექმნა მონიტორინგის ჯგუფი მიწის ნაკვეთების ყოფილი მესაკუთრეების ჩათვლით, რათა ამ ჯგუფს შეეფასებინა მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების ხარისხი და დაეწესებინა მათზე ხანგრძლივი ზედამხედველობა პროექტის ზეგავლენის დასადგენად. საჩივარში ნათქვამია, რომ რაიმე ზიანის ან უარყოფითი ზეგავლენის შემთხვევაში ბთჯ-ს უნდა აღმოეჩინა ტექნიკური და მატერიალური დახმარება ყოფილი მესაკუთრეებისათვის, დაკარგული მოსავლისათვის ფულადი კომპენსაციის გადასხდის გზით.

საჩივარში აღნიშნულია, რომ ბთჯ-მ არ განახორციელა მონიტორინგის პროგრამა მიწის მესაკუთრეებთან ერთად, რომ ყოფილი მესაკუთრეებისათვის დაბრუნებული მიწის ნაკვეთები უვარგისი იყო ნათესებისათვის და ნარგავებისათვის, და რომ

საკომპენსაციო პაკეტი ან არ არსებობდა, ან არ შეესაბამებოდა ფაქტიურ დანაკარგებს.

#### 4.1. შეფასების მსვლელობაში წამოჭრილი დამატებითი საკითხები

საწყისი შეფასების პერიოდში აღნიშნულმა ხუთმა მომჩივანმა ნათლად ჩამოაყალიბა მიწის ნაკვეთებზე მიყენებული ზარალის რაობა. საერთოდ, ყოველმა მათგანმა გამოხატა შეშფოთება მიწის სახნავად ვარგისიანობის თაობაზე მშენებლობის დამთავრების და მიწის ნაკვეთების მათი მესაკუთრეებისათვის დაბრუნების შემდეგ. ზოგიერთ საჩივარში სხვაგვარი პრობლემებიც იყო გამოთქმული; მაგალითად, ერთერთ მომჩივანს კომპენსაციის მიღება სურდა საირიგაციო სისტემის დაზიანების გამო, რაც ბთჯ-ს სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობის გამო მოხდა.

მომჩივანები იტყობინებოდნენ, რომ აღნიშნული პრობლემების თაობაზე მათ უშუალოდ მიმართეს ბთჯ-ს, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის საქართველოს ოფისს, და ადგილობრივი მთავრობის მესვეურებს, მაგრამ ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. ამ საჩივრებში, და ერთობლივად ხელმოწერილ CAO-სათვის გამოგზავნილ საჩივარში აღნიშნულია, რომ ის ორი საფეხური, რომელიც ჩამოყალიბებულია მის „მიწის შეძენისა და კომპენსაციების ხელმძღვანელობაში“, არ იყო შესრულებული ბთჯ-ს მიერ. ეს საფეხურები, „დასკვნითი შემოწმება“ და „შემდგომი დაკვირვება“ კომპანიას ავალდებულებდა შემდეგში:

1. მიწების საბოლოო შემოწმების განხორციელება ამ მიწების მესაკუთრეების მონაწილეობით, იმაში დარწმუნების მიზნით, რომ მიწების ჩადების შემდეგ მიწა დაუბრუნდა პირვანდელ, დამუშავებისათვის ადექვატურ მდგომარეობას, ბუნებრივი გარემოს პირობების გათვალისწინებით.
2. მშენებლობის შემდგომი ზიანის გამოსწორება და სხვა ამასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების მოგვარება (მაგ. ყველა პატარა სარწყავი მილგაყვანილობების აღდგენა კარგი საირიგაციო პირობების აღსადგენად).
3. მიწების დაბრუნების შემდეგ, უნდა არსებობდეს სპეციალური ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხანგრძლივი დაკვირვების ჩატარებაზე, ასევე შესწავლის განხორციელებაზე, რომელიც ასევე გრძელვადიანი და სასარგებლო იქნება, იმ ზეგავლენის თაობაზე, რომელიც ნიადაგმა განიცადა; და, თუ საჭირო იქნება ბთჯ უნდა დაეხმაროს მიწის მესაკუთრეებს მილსადენის გამო არსებული პრობლემების გამოსწორებაში, - იქნება ეს ტექნიკური თუ ფინანსური პრობლემები.

#### 4.2. კომპანიის თვალსაზრისი

ბოჯ კომპანიამ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო მილსადენის გაყოლებით არსებული მიწის გაკვეთილი დაზიანებები და ის აგრძელებდა ამ დაზიანებების შემცირების სამუშაოებს; და რომ ეს ძალისხმევა კომპლექსური ზომების მიღებას შეიცავდა.

რაც შეეხება „მიწის შექმნის ხელმძღვანელობაში“ აღნიშნულ მონიტორინგის და ინსპექტირების საფეხურებს, ბოჯ-მ განაცხადა, რომ მიწის მესაკუთრეებთან ერთად დასკვნითი შემოწმების/ინსპექტირების განხორციელება სიძნელებთან იყო დაკავშირებული, რადგან ბევრი მესაკუთრე არ ესწრებოდა, და მათი მოძებნა შემოწმებაში მონაწილეობის მიღების მიზნით ვერ ხერხდებოდა. გაერთიანებული ინსპექტირების მაგიერ, როგორც ბოჯ-მ განაცხადა, მან მოიწვია დამოუკიდებელი კონსულტანტი ინსპექტირების ჩასატარებლად და მისი შედეგების საბოლოო ანგარიშის ბოჯ-სათვის წარსადგენად.

კომპანიამ აღიარა, რომ ასეთმა მიდგომამ ზოგიერთი მესაკუთრის შეშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ნიადაგის სახნავად გამოყენების შეფასება ან დაზიანების განსაზღვრა სიძნელებთან იყო დაკავშირებული.

## 5. ომბუდსმენის მიერ საჩივრის განხილვის პროცესი

საჩივრის მიღების შემდგომი პერიოდის განმავლობაში მკაცრი და უხვთოვლიანი ზამთრის გამო CAO-ს მიერ შესაფასებლად გასვლა 2008 წლის გაზაფხულისათვის გადაიდო, მხარეებთან შეთანხმებით, და შეფასების პერიოდი გახანგრძლივდა. ამავე დროს CAO-მ ურჩია ბოჯ-ს უშუალოდ შეხვედროდა მომჩივანებს და ერთობლივად ემსჯელა პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

მომჩივანებმა და კომპანიამ შეატყობინეს CAO-ს, რომ 2008 წლის 5 მარტს მათ მიაღწიეს დროებით შეთანხმებას, რომლის დროსაც მომჩივანები საცდელად ნარგავებს ჩარგავდნენ დაზიანებულ ნაკვეთებზე, და შემოდგომაზე ბოჯ მომჩივანებთან ერთად განახორციელებდა ანალიზს, მოსავლის აღებამდე, რათა განესაზღვრა პოტენციური კომპენსაცია ან ზარალის შემცირების ზომები.

მაგრამ, 2008 წლის აპრილისათვის მხარეებს არ ჰქონდათ დანერგილი ეს შეთანხმება. აპრილის ბოლოს CAO-ს ომბუდსმენის ჯგუფი ჩავიდა ვალეში და ორგანიზება გაუკეთა მხარეებს შორის მეორე შეხვედრას. CAO-ს შუამდგომლობით ჩატარებული მოლაპარაკებების სერიების შემდეგ მხარეებმა მიაღწიეს მეორე შეთანხმებას, 2009 წლის ივნისში, - დაერგოთ ნარგავები დაზიანებული მიწის საცდელ ფართობებზე, და ერთობლივი მონიტორინგი განხორციელებინათ მოსავალზე 2009 წლის სექტემბერში, იმის დასადგენად, საჭირო იქნებოდა თუ არა მოსავლის

დაკარგვისათვის კომპენსაციის გადახდა. შეთანხმების საფუძველზე მხარეების მოვალეობები ასე განისაზღვრა:

- მომჩივანები მოხნავენ ნაკვეთებს „რამდენიმე დღეში“ და მოხვნის შემდეგ ნიადაგის მდგომარეობის თაობაზე ანგარიშს გააკეთებენ.
- თუ ნიადაგი ძალიან ქვა-ღორღიანი გამოდგება სახნავად, მომჩივანები ამის შესახებ ბოჯ-ს შეატყობინებენ. ბოჯ მესამე მხარის სპეციალისტებს მოიწვევს მოხვნის შემდეგ ნიადაგის ხარისხის დასადგენად.
- თუ კონსულტანტები დაადგენენ, რომ ნიადაგი ცუდ მდგომარეობაშია, ბოჯ თავის თავზე იღებს ზარალის შემცირების შესაბამისი ზომების განხორციელებას.
- თუ მომჩივანები დათესავენ მოხვნის შემდეგ, ბოჯ მოვალეა შეაფასოს მოსავალი 2008 წლის შემოდგომაზე, რათა დადგინდეს, შემცირდა თუ არა მოსავალი ბოჯ-ს საქმიანობის გამო. თუ შემცირდა, ბოჯ თანახმაა გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია.
- ბოჯ და მომჩივანები შეთანხმდნენ, რომ 2008 წლის შემოდგომაზე მოსავლის შემფასებელ ჯგუფში შევა მომჩივანების მიერ შერჩეული წარმომადგენელი, ბოჯ-ს წარმომადგენელი, და CAO-ს წარმომხდელი ან ტექნიკური ექსპერტი.

CAO-მ მხარეებთან იმუშავა 2008 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში შეთანხმების განხორციელების დეტალების გასარკვევად და განხორციელების მსვლელობაზე დასაკვირვებლად. 2008 წლის ივლისში მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონსულტანტს ჩაეტარებინა კვლევა ორ ადგილმდებარეობაზე მილსადენის გასწვრივ, რათა განესაზღვრა მიყენებული ანთროპოგენული (ადამიანის საქმიანობის შედეგად) ზიანი ნიადაგის ხარისხზე ბოჯ-ს საქმიანობის შედეგად, და შეეფასებინა სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი.

## 6. საჩივრის დახურვა

კვლევაში, რომელიც განხორციელა ქართულმა კომპანიამ „სანიტარი“, შედიოდა საცდელ ფართობზე 1 მეტრი სიღრმის 19 საცდელი ორმოს და 0,3 სიღრმის 9 საცდელი ღრმულის ამოთხრა. ეს საცდელი ორმოები ბოჯ-ს მილსადენიდან 20 მ-ის მანძილზე გაკეთდა, და ღრმულები - შექმნილი მიწების კორიდორში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ N 1 ნაკვეთზე ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენა არ არსებობდა, ზედაპირი შედგებოდა მსხვილმარცვლოვანი მასალისაგან, და ეს ნაკვეთი პრაქტიკულად გამოუსადეგი და სოფლის მეურნეობისათვის შეუფერებელი იყო. N 2 ნაკვეთზე დადგინდა, რომ ის დამაკმაყოფილებლად იყო აღდგენილი და ნიადაგის მდგომარეობა შეესაბამებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მოთხოვნებს

(თუმცა ზოგიერთ ადგილს ესაჭიროებოდა მიმოფანტული ლოდებისგან „უბრალოდ გაწმენდა“).

კვლევის შედეგების და ბოჯ-ს მიერ N 1 ნაკვეთზე (სადაც რამდენიმე მომჩივანის კუთვნილებაში არსებული ნაკვეთი მდებარეობს) ზარალის შემცირების გეგმის პირობების შემდგომი ნათელყოფისათვის ჩატარებული რამდენიმე დამატებითი შეკრების შემდეგ, ბოჯ-მ ჩაატარა მიწის/ნიადაგის აღდგენითი სამუშაოები, და 2008 წლის ნოემბერში მხარეებმა აცნობეს ოფისს, რომ აღდგენა დამთავრებული იყო. მომჩივანებმა და N1 ნაკვეთის ზოგიერთმა სხვა მესაკუთრემ, რომლებსაც არ მოუწერიათ ხელი CAO-სათვის გაგზავნილ საჩივარზე, CAO-ს გამოუგზავნეს შეთანხმების ხელმოწერილი ასლი.